

## „ფსიქიატრია“

**1. სპეციალობის დასახელება - „ფსიქიატრია“.**

**2. სპეციალობის შინაარსი**

„ფსიქიატრია“ კლინიკური მედიცინის დარგია, რომელიც მოიცავს ფსიქიკური აშლილობების დიაგნოსტიკას, მკურნალობას, პრევენციას და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზაციას, ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის საკითხებს და დარგთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებს.

**3. ზოგადი ცოდნა**

ა) ფსიქიატრიული ინტერვიუს წარმოება, ანამნეზის შეკრება და ფსიქიკური მდგომარეობის შეფასება;

ბ) დიაგნოზის დასაზუსტებლად საჭირო ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევების განსაზღვრა. მიღებული მონაცემების ანალიზი და ინტერპრეტირება. კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოზის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შემუშავება მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებით;

გ) ინტეგრაციული შემთხვევის ფორმულირება, რომელიც მოიცავს ნეირობიოლოგიური, ფენომენოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული საკითხების ჩართულობას დიაგნოსტიკასა და მართვაში;

დ) ძირითადი ფსიქოპათოლოგიური სიმპტომები და სინდრომები; ფსიქიკის სფეროების პათოლოგიები: აზროვნების, აღქმის, ემოციის, ნებითი, ინტელექტის, მეხსიერების, ცნობიერების პათოლოგია;

ე) ფსიქიატრიულ სამედიცინო პრაქტიკისათვის აუცილებელი ეთიკური და სამართლებრივი საკითხები;

ვ) კლინიკური ფსიქოფარმაკოლოგია;

ზ) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დიაგნოსტიკა;

თ) ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთა მკურნალობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც გულისხმობს პაციენტის ადეკვატურ მართვას არსებული პათოლოგიის ნებისმიერ ეტაპზე - როგორც გამწვავების, ასევე რემისიის სტადიაში;

ი) ფსიქიატრიულ სტაციონარში მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

კ) ამბულატორიული მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

ლ) გადაუდებელი დახმარების სერვისებში ფსიქიატრიული ინტერვენციის პრინციპები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

მ) საგანგებო მდგომარეობების დროს (ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები) კრიზისული ინტერვენციის პრინციპები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

ნ) ბინაზე მომსახურების პრაქტიკული უნარ-ჩვევები;

ო) პაციენტის ოჯახთან მუშაობის პრინციპები;

პ) ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის პრინციპების დაცვა:

პ.ა) ფსიქოსოციალურ ინტერვენციების ცოდნა;

პ.ბ) პაციენტთა საჭიროებებზე დაფუძნებული სკრინინგის განხორციელება.

ჟ) ფსიქოთერაპიის პრინციპები. ინდივიდუალური, ჯგუფური, და ოჯახური თერაპიების ჩატარება სტანდარტული, საყოველთაოდ აღიარებული მოდელების გამოყენებით. ფსიქოთერაპიების ინტეგრაცია, ბიოლოგიური და სოციოკულტურული ინტერვენციებთან ერთად, მკურნალობის მულტიმოდალურ სქემებში;

რ) გუნდური მუშაობის პრინციპები;

ს) რისკის შეფასება:

ს.ა) სუიციდის;

ს.ბ) ჰომიციდის.

ტ) ფსიქოგანათლების პრინციპები;

უ) სომატურ სფეროში - სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის: ტრავმის, მოწამვლის და გარე მიზეზების მოქმედების სხვა შედეგების დროს, მწვავე და ქრონიკული ინფექციური, ენდოკრინული პათოლოგიების დროს და სხვა. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარების პრინციპების ცოდნა; ეპიდემიის გავრცელების ან გადამდები ინფექციური პათოლოგიის არსებობაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში - პირველადი საკარანტინო და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების გატარების პრინციპების ცოდნა;

ფ) ნევროლოგიის დარგში სკრინინგული ნევროლოგიური გამოკვლევების წარმოება და ნევროლოგიის საკითხებში ცოდნა შემდეგი მოცულობით:

ფ.ა) ნერვული სისტემის სხვადასხვა დაავადების, მათ შორის:

ფ.ა.ა) მოძრაობის დარღვევები, ინსულტი, დემენცია, ეპილეფსია;

ფ.ა.ბ) ფსიქიკური აშლილობების ნევროლოგიური გამოვლინებები და გართულებები;

ფ.ა.გ) ნევროლოგიური დაავადებების დროს განვითარებული ფსიქიკური დარღვევები; პათოფიზიოლოგია, ეპიდემიოლოგია დიაგნოსტიკური კრიტერიუმი და კლინიკური მიმდინარეობა.

ფ.ბ) ნეიროფარმაკოლოგია:

ფ.ბ.ა) ძირითადი პრეპარატები (მაგ., ნოოტროპები, ანტიკონვულსანტები, ანტიპარკინსონული საშუალებები) მათი უკუჩვენებები, არასასურველი თანამოვლენები და გართულებები;

ფ.ბ.ბ) ფსიქოფარმაკოთერაპიის ნევროლოგიური გართულებები (მაგ., ექსტრაპირამიდული და მოძრაობის დარღვევები) და მათი მკურნალობა.

#### 4. დაავადებები და მდგომარეობები

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
F00 - F09	ორგანული ბუნების აშლილობანი, სიმპტომატურ აშლილობათა ჩათვლით	დიაგნოსტიკა, მართვა
F10 - F19	ფსიქოაქტიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობანი	ნაწილობრივი: დიაგნოსტიკა; გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება; შემთხვევის მართვა ორმაგი დიაგნოზის (თანმხლები ფსიქიკური აშლილობა) შემთხვევებში
F20 - F29	შიზოფრენია, შიზოტიპური აშლილობანი	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F30 - F39	აფექტური აშლილობანი	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F40 - F48	ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობანი	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი

		ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F50 - F59	ფიზიოლოგიური და ფიზიკური დარღვევებით გამოწვეული ქცევის პათოლოგია	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F60 - F69	პიროვნული და ქცევითი დარღვევები	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F70 - F79	გონებრივი ჩამორჩენილობა	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F80 - F89	ფსიქიკური განვითარების დარღვევები	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F90 - F98	ბავშვთა და მოზარდთა ასაკში დაწყებული ქცევითი და ემოციური აშლილობანი	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
F 9 9	დაუზუსტებელი ფსიქიკური აშლილობანი	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
G21.0, G21.1, G24.0, G25.8	ავთვისებიანი ნეიროლეპტიური სინდრომი; სხვა სამკურნალწამლო საშუალებებით გამოწვეული მეორადი პარკინსონიზმი; სამკურნალწამლო საშუალებებით გამოწვეული დისტონია; სხვა დაუზუსტებელი ექსტრაპირამიდული და მოძრაობის დარღვევები	დიაგნოსტიკა, მართვა • 15 წლამდე პაციენტთა ერთჯერადი კონსულტაცია, დიაგნოსტიკა და რეფერალი ბავშვთა ფსიქიატრთან. გადაუდებელ შემთხვევებში პირველადი დახმარება
X60-X84	განზრახ თვითდაზიანება	დიაგნოსტიკა, რეგისტრაცია, მართვა
Y95	ჰოსპიტალიზმის მდგომარეობა	დიაგნოსტიკა, რეგისტრაცია, მართვა
Z00.4, Z03.2, Z04.6,	საერთო ფსიქიატრიული შემოწმება, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში;	დიაგნოსტიკა, რეგისტრაცია, მართვა

<p>Z13.3 Z50.4 Z54.3 Z55, Z60, Z61, Z62, Z63, Z64, Z76.5,Z81, Z91.5</p>	<p>გამოკვლევა, როცა ეჭვია ფსიქიკურ და ქცევით დარღვევებზე; საერთო ფსიქიატრიული შემოწმება ხელისუფლების მოთხოვნის შესაბამისად; სპეციალური სკრინინგული გამოკვლევა ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების გამოსავლენად (ალკოჰოლიზმი, დეპრესია, გონებრივი ჩამორჩენილობა); ფსიქოთერაპია, რომელიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში; ფსიქოთერაპიის შემდგომი გამოჯანმრთელება; განათლებასა და წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემები; სოციალურ გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები; ბავშვობაში მომხდარ უარყოფით ცხოვრებისეულ მოვლენებთან დაკავშირებული პრობლემები; აღზრდასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები; პირველადი თანადგომის ჯგუფთან და ოჯახურ გარემოებებთან დაკავშირებული სხვა პრობლემები; გარკვეულ ფსიქოსოციალურ გარემოებებთან დაკავშირებული პრობლემები; შეგნებული სიმულაცია; ცხოვრების წესთან დაკავშირებული პრობლემები; ფსიქიკური და ქცევითი დარღვევების ოჯახური ანამნეზი; თვით-დაზიანების პირადი ანამნეზი, პარასუიციდი, თვითმოწამლვა, თვითმკვლელობის მცდელობა</p>	
---	---	--

## 5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები

ა) ექიმ ფსიქიატრს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

ა.ა) კლინიკურ ფსიქიატრიულ პრაქტიკაში გამოყენებული ძირითადი ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტების (მაგ., ვექსლერის ტესტი, პროექციული ტესტები, MMPI – ტესტი და სხვა კლინიკურ ფსიქოლოგიური, ფსიქოდიაგნოსტიკური კითხვარები) შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება;

ა.ბ) პათოფსიქოლოგიური გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია და კლინიკური შეფასება;

ა.გ) შემდეგი ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული გამოკვლევების შედეგების ინტერპრეტაცია:

ა.გ.ა) ორსულობის ტესტი;

ა.გ.ბ) შარდის საერთო ანალიზი;

ა.გ.გ) სისხლის საერთო, იმუნოლოგიური და ბიოქიმიური ანალიზი;

ა.გ.დ) რეზუსფაქტორის და სისხლის ჯგუფის განსაზღვრა;

ა.გ.ე) გლუკოზის განსაზღვრა სისხლში;

ა.გ.ვ) პროთრომბინის ინდექსის განსაზღვრა;

ა.გ.ზ) ტრანსამინაზების განსაზღვრა (ALT, AST, GGT);

ა.გ.თ) სისხლის სეროლოგიური კვლევა (ჰეპატიტი "B" , "C", HIV, RW და სხვ.);

ა.გ.ი) ბიოლოგიურ მასალაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა;

ა.გ.კ) სისხლში სხვადასხვა ჰორმონის კვლევა;

ა.გ.ლ) სისხლში მძიმე მეტალების შემცველობა;

ა.გ.მ) ელექტროფიზიოლოგიური კვლევა: ელექტროკარდიოგრაფია, ელექტროენცეფალოგრაფია;

ა.გ.ნ) რადიოლოგიური კვლევები: რენტგენი, კრანიული ულტრაბგერა (დოპლერი, ნეიროსონოგრაფია), ანგიოგრაფია, თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია, იზოტოპით კვლევა, მრტ-რეჟიმები (მრტ, მრა, მრს) და პეტ-გამოსახვა;

ა.გ.ო) ღამის ძილის პოლიგრაფია (პოლისომნოგრაფია);

ა.გ.პ) ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული კვლევა;

ა.გ.ჟ) თავ-ზურგ-ტვინის სითხის ანალიზი.

ბ) ფსიქიატრს შეუძლია შემდეგი კვლევების შესრულება:

ბ.ა) სტუქტურირებული კლინიკური ინტერვიუს წარმართვა;

ბ.ბ) დიაგნოსტიკური სკრინინგინსტრუმენტების გამოყენება.